მოკლე ბიოგრაფია
ირაკლი შამათავა არის სამართლის დოქტორი, პროფესორი, ადვოკატი, მწერალი, გამომცემელი. 2011 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატი, ხოლო 2016 წელს – კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრატურა (წარჩინებით). 2022 წელს კავკასიის უნივერსიტეტში დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი: *„მხარეთა უფლება-მოვალეობების თანაბარზომიერი დაცვის სტანდარტი სესხის ხელშეკრულებაში“.* არის საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ირაკლი შამათავა არის თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის კურსდამთავრებული. წლების მანძილზე იკავებდა სხვადასხვა თანამდებობას დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს უფროსი; ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი“ საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი). 2024-2025 წლებში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში იკავებდა სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანის, „თანამედროვე სამართლის ჟურნალის“ მთავარი რედაქტორის და საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობებს. სხვადასხვა პერიოდში გაიარა 50-ზე მეტი პროფესიული და სასერტიფიკატო კურსი; გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო სტატია როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ირაკლი შამათავას, გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, ლიტერატურის დარგში მიღებული აქვს გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია. 2016 წელს მას მიენიჭა პრემია ქალაქ ფოთის კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის; 2020 წელს – პრემია „მანდარინები“ ქართულ-აფხაზური ურთიერთობისთვის; ხოლო 2022 წელს გახდა ნობელიანტ ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ნომინანტი. ირაკლი შამათავა თბილისის წიგნის XXII და XXIII ლიტერატურული ფესტივალების მონაწილე და მოდერატორია. 2023 წელს, მწერალთა სარეზიდენციო პროგრამის (Writer's House Exchange Program; Residencia Literaria 1863, A Coruna, Spain) ფარგლებში იმყოფებოდა ესპანეთში, ლა-კორუნიაში, სადაც იმუშავა ავტობიოგრაფიულ წიგნზე. მისი მოთხრობები თარგმნილია აფხაზურ, ინგლისურ, რუსულ, სომხურ, ყაზახურ და აზერბაიჯანულ ენებზე.
გამოქვეყნებული სტატიები
1. *Zambardino, F., Shamatava, I., CRYPTO-DEMOCRACY: CODE AS THE ARCHITECTURE OF COLLECTIVE WILL AND THE NEW FOUNDATIONS OF GOVERNANCE*, Cuam University Press, 2025, 100–131. 2. *შამათავა, ი., სესხის ხელშეკრულების სანოტარო წესით რეგისტრაცია, როგორც ეფექტური გადახდევინების და ვადამოსულ მოთხოვნათა გამარტივებული წესით აღსრულების მექანიზმი*, International Black Sea University, LLC, აბრეშუმის გზის მე-19 საერთაშორისო კონფერენცია, 2024. *3. Shamatava, I., Taliashvili, T., Recent Evolution of Intellectual Property Enforcement in Georgia*, TalTech Journal of European Studies, Tallinn University of Technology, 2020, 42–56. 4. *Taliashvili, T., Shamatava, I., New Legal Regulation of Intellectual Property Protection and Enforcement*, სტატია, №2, 2019, 12–24, თსუ, სამართლის ჟურნალი.

5. *შამათავა, ი., The German-Georgian Model of Penalty Regulation (Comparative-legal Analysis) / პირგასამტეხლოს რეგულირების გერმანულ-ქართული მოდელი (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)*, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №17, 2021, 86–99.

6. *შამათავა, ი., მხარეთა უფლება-მოვალეობების თანაბარზომიერი დაცვის სტანდარტი სესხის ხელშეკრულებაში*, მონოგრაფია, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2024.

7. *შამათავა, ი., ტალიაშვილი, თ., ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების ახალი საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში*, სტატია, №2, 2019, 12–25, თსუ, სამართლის ჟურნალი.

8. *შამათავა, ი., ონიანი, მ., ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით გამარტივებული წარმოება საქართველოში / Simplified Proceedings in Georgia Regarding Requests for Payment of Monetary Debts (Sharing European Experience)*, International Black Sea University, LLC, აბრეშუმის გზის მე-17 საერთაშორისო კონფერენცია, 2022, 257–271.

9. *შამათავა, ი., უბერი, თ., პირგასამტეხლოს წარმოშობის ისტორიული ექსკურსი, ევოლუცია და თანამედროვე ინტერპრეტაცია (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)*, International Black Sea University, LLC, აბრეშუმის გზის მე-15 საერთაშორისო კონფერენცია, 2020, 310–320.

10. *შამათავა, ი., უბერი, თ., შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) უსაფრთხოების სტანდარტები და მათი იმპლემენტაციის საჭიროება ქართულ კანონმდებლობაში*, International Black Sea University, LLC, აბრეშუმის გზის მე-14 საერთაშორისო კონფერენცია, 2019, 208–215

11. *შამათავა, ი., პირგასამტეხლო სააღსრულებო წარმოების პროცესში, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი*, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია – საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები, კავკასიის უნივერსიტეტი, 2016, 66–79.